ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 39/3

თბილისი „12“ „02“ 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. “საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ქეთევან ალექსიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის ასიგნების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №137 განკარგულების საფუძველზე, “ბავშვთა მკურნალობის აქციის ხელშეწყობის მიზნით”, ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საჰაერო ხომალდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 507.75 (ხუთასშვიდი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 ზოგადი ინფორმაცია:

13.02.2013 წ.

სარეგისტრაციო ნომერი	ავია ნომერი	ჩამოფრენა/გაფრენა თარიღი/დრო	თვითმფრინავის ტიპი	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
EY538	EAST AIR	13.02.13 15:00/16:00	ბოინგი 737/400 (65.091 ტონა)	3.35 ლარი (ტონაზე)	218.05 ლარი

16.02.2012 წ.

სარეგისტრაციო ნომერი	ავია ნომერი	ჩამოფრენა/გაფრენა თარიღი/დრო	თვითმფრინავის ტიპი	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
EY538	EAST AIR	16.02.12 0:08/2:00	ბოინგი 737/400 (65.091 ტონა)	3.31 ლარი (ტონაზე)	215.45 ლარი

სარეგისტრაციო ნომერი	ავია ნომერი	ჩამოფრენა/გაფრენა თარიღი/დრო	მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
EY538	EAST AIR	13.02.13 15:00/16:00	9 მგზავრი	8.25 ლარი	74.25 ლარი

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2013 წლის 13 თებერვალს და 2013 წლის 16 თებერვლას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ანაზღაურება იწარმოებს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საჰაერო ხომალდის ფაქტიური მაქსიმალური ასაფრენი მასის მიხედვით;

6.3. მომსახურების ღირებულების გადახდა 50% შეღავათით ხდება შემდეგ ვითარებაში:

- საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას;
- უბედური შემთხვევისას თვითმფრინავის დაშვების დროს;
- საჰაერო ხომალდის დაშვებისას საგანგებო ვითარებაში, რომელიც დაკავშირებული სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევასთან;

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება;

7.1.2 მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე გაუწიოს შემსყიდველს საჭირო კონსულტაცია;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 6.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმების შემდეგ.

7.2.2 აცნობოს "მიმწოდებელს" საჰაერო ხომალდის ტიპი, მარშრუტი, თარიღი და საჭირო მომსახურების ჩამონათვალი.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, და ცდილობს გამონახოს

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA 21133
AIRPORT DEVELOPMENT COMPANY 404389693

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ლევან სარია.

15. ხელშეკრულების ძალაში შედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თანავე.

15.2. ხელშეკრულების ძალაში შედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 1 მაისის ჩათვლით.

_____ _____

შემსყიდველი მიმწოდებელი

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (– გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თბილისი, წერეთლის გამზ. №144, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	შ.პ.ს “საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” ქ. თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტი სს “თიბისი ბანკის” ცენტრალური ფილიალი კოდი №220101830 ა/ა №GE47TB0615536070100001 ს.კ. №404389693
დავით ჯალაღონია მინისტრის მოადგილე	ქეთევან ალექსიძე დირექტორი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი 1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსხურების
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი:

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ:

2013 წლის „ “ „ “ № ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ

(თვის დასახელება)

შეადგინა

(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ანაზღაურებულია ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო	მომსახურება ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.